№ 75 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

ფასი 3 მან. შაბათი, 3 აპრილი 1920 წ.

# საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით) საქართველოს რესპუბლიკა მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.


## სახელმწიფო თეატრი ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით

შაბათს, 3 აპრილს ოპერა მუშებისათვის:

## ფაუსტი და ვალპურგიის ღამე

კვირას, 4 აპრილს დილით „ევგენი ონეგინი“. საღამოს ნ. ნ. ჩერეპნინის ბუნებრივ „სნეგუროჩკა“. ორშაბათს 5 აპრილს, უკანასკნელი გამოსათხოვარი გასტროლი ნ. ვ. კოშიცის.

## გაზ. „საქართველოს რესპუბლიკას“ კანტორა აცხადებს,

რომ მიმდინარე წლის 1 აპრილიდან გაზეთი ეღირება თვიურად 70 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი: პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. ტექსტის შემდეგ—3 მ. 50 კ. სამგლოვიარო. განცხადება ჩვეულებრივი ზომის 140 მან. ნისია განცხადებებზე გადახდება ნიხრზე მეტი 20 პროცენტი. ვისაც გაზეთი უკვე გამოწერილი აქვთ უნდა გადაიხადონ 1 აპრილიდან დამატებითი ფასი.

## საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტისა.

თანახმად სამრეწველო წესდების მე-127 და 149 მუხ. კანონ. კრებულ. ტ. 2. ნაწ. მე-2 გამოც. 1913 წ. საქონლის ნიშნების, საქარხნო ნახატების და მოდელების დამტკიცება დავალებული აქვს ვაჭრ. მრეწველობის დეპარტამენტის სამრეწველო მცირე განყოფილებას.

1918 წ. 26 მაისამდე საქონლის ნიშნებს, საქარხნო ნახატებს და მოდელებს დამტკიცებას შესახებ ცნობების უწყებლობის გამო, ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის არ შეუძლია კანონის მოთხოვნილება შესრულოს და მესამეო გახდება ასეთი შემთხვევები, როდესაც ერთნაირ დამტკიცებული საქონლის ნიშნები ხელმეორედ იქმნება დამტკიცებული ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის მიერ და ბოლებული სხვა პირს ანუ ფირმას.

ამ გაუგებრობის უფლების დასაცავად, რომელთაც, ზემო ჩამოთვლილ ნიშნებზე მოწმობა აქვთ აღებული 1918 წ. 26 მაისამდე, ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტი სთხოვს მათ წარმოადგინონ დეპარტამენტში ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების „საქართველოს რესპუბლიკაში“ მოთავსებისა შემდეგი ცნობები: მოწმობის აღების დრო, ნომერი ამ მოწმობისა, მოწმობის მომქმედების ვადა და რომელ ფირმის, ამხანაგობის ან კერძო პირის სახელზე გაცემული მოწმობა.

ამ ცნობების თან უნდა აუცილებლად დაერთოს დამტკიცებულ საქონლის ნიშნის, საქარხნო ნახატის ან მოდელის ნიმუშები ორ ეგზემპლიარად.

ვინც ერთი თვის განმავლობაში ზემო აღნიშნულ ცნობებს არ წარმოადგენს დეპარტამენტში, ან ნიმუშების სარეგისტრო უფლებას ჰკარგავს, ხოლო თვით ნიშნები გაუქმებულად ჩაითვლება და მათი პატრონთა საჩივრებზე მთავრობა პასუხისმგებლობას არ კისრულობს. 390 2—2

## ვაჭრობა-მრეწვ. დეპარტამენტი

ამით აცხადებს, რომ აღირიცხება საქონლის ნიშნის, საქარხნო ნახატის ან მოდელის დასამტკიცებლად აუცილებლად საჭიროა შემოიტანოს ნიშნებს ჰქონდეს უმთავრესი წარწერა ქართულ ენაზე: უმთავრესი წარწერის შემდეგ მსურველთ შეუძლიათ ამ ნიშნებს სხვა უცხო ენაზე გაუკეთონ წარწერა. 3—2 389

## ევროპიულ-კავკასიური სავაჭრო ბანკი

ამით აცხადებს მეორე გამოცემითი აქციების ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ უკანასკნელი ვადა აქციების ფულის შემოტანისა დანიშნულია პირველ მაისს ამ 1920 წ. და ვინც ამ დროზე ზედმეტ ფულს არ შემოიტანს, ბანკი იძულებული იქნება მოიქცეს ბანკის წესდების მეცხრე მუხლის მიხედვით. 400 2—1

## ქალთა მე-7-დე წმ. ნინოს გიმნაზიის სამეურნ. კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ შაბათს, აპრილის 3-ს, ნაშუადღევის 1 საათზე დანიშნულია საჯარო გაყიდვა ძველი პიანინოსი გიმნაზიის შენობაში (ერმოლოვის ქ. 13). ხელმეორედ გაყიდვა 7 აპრილს, 12 საათზე. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება გიმნაზიის კანცელარიაში, იქვე შეიძლება დათვალიერება გასაყიდი პიანინოსი ყოველ დღე 2—3 საათამდის 605 3—2


## ოფიციალური განყოფილება

## განკარგულებანი.

**შინაგან საქმეთა სამინისტროსი.**

2 მარტი, 1920 წ. № 19.

**ინიშნება:** ავვაკუმ ბესარიონის ძე ლექავა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო მონდობილობათა ტეხნიკოსად ამა წლის 1 მარტიდან.

10 მარტი, 1920 წ. № 24.

**შტატ-გარეშე დატოვებულია:** სენაკის სამაზრო სამეურნეო ნაწილის ინსტრუქტორი ი. ქალაგუა, აღნიშნულ ნაწილის საერობო თვითმართველობისათვის გადაცემის გამო 1919 წლ., პირველ მაისიდან, სალიკვიდაციო ჯილდოს მიცემით.

11 მარტი, 1920 წ. № 25.

**ინიშნება:** მოქალაქე ვარლამ გიორგის ძე ჭირაქაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლათ.

26 მარტი, 1920 წ., № 26.

**ინიშნება:** კალისტრატე ამბაკოს ძე ფირცხალაიშვილი საქართველოს დეპეშათა სააგენტოს დირექტორის თანაშემწეთ, 15 მარტიდან.

მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

—

**ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.**

18 მარტი, 1920 წ., № 82.

**დაინიშნოს** სავაჭრო-მცირე განყოფილების საქმის მწარმოებლის თანაშემწედ ალექსანდრე სტეფანეს ძე მღებრიშვილი ამა წლის 18 მარტიდან.

19 მარტი, 1920 წ., № 83.

**დაინიშნოს** საზომ-საწონის პალატის შემმოწმებლის თანაშემწის დროებით მოვალეობის აღმასრულებლად ილია ივანეს ძე დავითაშვილი ამა წლის 1 იანვრიდან.

19 მარტი, 1920 წ., № 84.

**განთავისუფლებულ იქმნას** დასასვენებლად ერთი თვის ვადით და ჯამაგირის შენახვით ყოფილ მთავარ საბაჟოს გამგის თანაშემწე სერგო ლევანის ძე ლოლობერიძე ამა წლის 16 მარტიდან.

20 მარტი, 1920 წ., № 85.

**დანიშნულ იქმნას** სამრეწველო მცირე განყოფილების საქმის მწარმოებლად სვიმონ ილიას ძე ჯაფარიძე ამა წლის 19 მარტიდან.

22 მარტი, 1920 წ., № 86.

**დანიშნულ იქმნას** სავაჭრო მცირე განყოფილების გამგეთ ლევან სილოვანის ძე ხუნდაძე ამა წლის 20 მარტიდან.

22 მარტი, 1920 წ., № 87.

**განთავისუფლებულ იქმნას** დროებით სამსახურიდან უჯამაგიროთ ფინანსთა სამინისტროს რევიზორი ნიკოლოზ დიმიტრის ძე სოკოლოვი ამა წლის აპრილის 1-დან 24-მდე.

24 მარტი, 1920 წ., № 88.

**დაინიშნოს** ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის სამრეწველო მცირე განყოფილების გამგეთ, სავაჭრო-სამრეწველო განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი მარიამ ივანე ანდრონიკაშვილის ასული 1920 წლის 1 იანვრიდან.

29 მარტი, 1920 წ., № 89

**დაინიშნოს** საზომ-სასწორთა პალატის საქმის მწარმოებლის თანამდებობაზე გიორგი რევაზის ძე ალსაბაძე ამა წლის 15 მარტიდან.

29 მარტი, 1920 წ., № 90.

**განთავისუფლებულ იქმნას** სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა, ტფილისის ხაზინის მე 2-ე ხარისხის ბუხჰალტერი ნიკოლოზ მიხეილის ძე პოლოქინი ამა წლის მარტის პირველიდან.

29 მარტი, 1920 წ., № 91.

**დაინიშნოს** ტფილისის ხაზინის მე-2-რე ხარისხის მოლარეთ ამავე ხაზინის მოანგარიშე მოხელე ვლადიმერ ვასილის ძე კიკნაძე ამა წლის 19 მარტიდან.

29 მარტი, 1920 წ., № 92.

**დაინიშნოს** ტფილისის ხაზინის მოანგარიშეებათ, ამავე ხაზინის რეგისტრატორები ლიდია ვილჰელმის ასული ერდვარტი, კონსტანტინე ლუკას ძე ჯანუყვაძე და გიორგი სიმონის ძე წერეთელი ამა წლის 19 მარტიდან.

29 მარტი, 1920 წ., № 93.

**დაინიშნოს** ტფილისის ხაზინის პირველ ხარისხის მოლარეთ, ამავე ხაზინის მეორე ხარისხის მოლარე ივანე მიხეილის ძე ნეცუნსკი ამა წლის 19 მარტიდან.

29 მარტი, 1920 წ., № 94.

**დაინიშნოს** საკრედიტო განყოფილების ბუხჰალტრის თანაშემწედ ივანე ივანეს ძე კრისოვი ამა წლის 22 მარტიდან.

29 მარტი, 1920 წ., № 95.

**დანიშნულ იქმნას** გორის მაზრის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ივანე ნიკოლოზის ძე მაჩაბელი ამა წლის 26 მარტიდან.

**დამტკიცებულ იქმნას** გორის მაზრის აქციზის ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელი იოსებ ქაიხოსროს ძე ჩიკოიძე იმავე მაზრის ინსპექტორად 1920 წლის 1 იანვრიდან.

29 მარტი, 1920 წ., № 97.

**დამტკიცებულ იქმნას:** დუშეთის მაზრის აქციზის ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ვასილი სპირიდონის ძე მახალდიანი იმავე მაზრის ინსპექტორად 1919 წლის პირველ ოქტომბრიდან.

29 მარტი, 1920 წ., № 98.

**დანიშნულ იქმნას:** ფოთის აქციზის ინსპექტორის უმცროს თანაშემწედ კონსტანტინე ნიკოლოზის ძე შანიძე ამა წლის 26 მარტიდან.

ფინანსთა მინისტრის ამხ. **ხ. ავალიანი.**

—

**იუსტიციის მინისტრისა.**

20 მარტი, 1920 წ., № 82.

**ამოირიცხოს** იუსტიციის სამინისტროს უწყებიდან გარდაცვალებული ქუთაისის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ნესტორი ჩიქოვანი ა/წ მარტის 20-დან.

მარტის 20, 1920 წ., № 83.

**განთავისუფლებულ იქმნეს:** რესპუბლიკის საპყრობილეთა ინსპექციის თანამდებობის აღსრულებისაგან და დაუბრუნდეს თავის პირდაპირი მოვალეობის აღსრულებას საპყრობილეთა ინსპექტორის თანაშემწე ი. დ. იაშვილი ა/წ მარტის 16-დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

საქმის მწარმოებლის მაგ. **მაშავ რიანი.**

№ 84.

**დაინიშნა:** რესპუბლიკის საპყრობილეთა ინსპექტორად შინაგან საქმეთა მინისტრის რწმუნებული მზრუნველობის საქმეთა შესახებ ნიკოლოზ კალისტრატეს ძე ჩიკვაიძე ამა წლის მარტის 16-დან.

№ 85.

გადაყვანილ იქმნან ერთი მეორის ადგილზე: გორის მე-2-ე უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ანტონ გოგიაშვილი და ახმეტის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ალექსანდრა ღამბაშიძე ამა წლის მარტის 20-დან.

№ 88.

**აღინიშნა:** ქუთაისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ქუთაისის საგანგებო სასამართლოს წევრი ბეგლარ ნესტორის ძე ფალავა ამა წლის მარტის 22-დან.

№ 80.

**დაევალა:** სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწის თანამდებობის ასრულება კანცელარიის მოხელე გრიგოლ ანტონის ძე ფურცელაძეს ამა წლის მარტის 1-დან.

იუსტიციის მინისტრი **არსენიძე.**

## არა ოფიციალური განყოფილება

## შინაგან საქმ. სამინისტროში

**საექსპედიციო კანტორა.**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო სამტრედიის მცხოვრებს მიხეილ ადეიშვილს გახსნას ქალაქ სამტრედიაში საექსპედიციო კანტორა, იმ პირობით, რომ შეიტანოს სახელმწიფო ხაზინაში საწინდრათ, თანახმად არსებული კანონისა, 15.000 მან.

**საექიმო პუნქტების გახსნა.**

დუშეთის სამაზრო ერობის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა მცხეთაში და ყაზბეგში გახსნილ იქმნას საექიმო პუნქტები სახელმწიფო ხარჯით.

**ზუგდიდის ადმინისტრაციის მოქმედება.**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი შინაარსიის დეპეშა მიიღო ზუგდიდიდან—მაზრის კომისარისაგან: „ერთი კვირის ადმინისტრაციის მოქმედების შედეგი: ციხიდან გაქცეულებთაგან მოკლულია ერთი, დაპატიმრებულია თვრამეტი. გარდა ამისა მოკლულია ცნობილი მეთაური ყაჩაღებთა როგავა, დაპატიმრებულია ყაჩაღები ჩემინავა და კუჭავა. მოქმედება გრძელდება“.

**ლტოლვილები.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებული ცნობებით ქუთაისში ჩამოსულან სხვა და სხვა ეროვნებათა ლტოლვილები, რომელთა მდგომარეობა აუტანელია. არა აქვთ არა

ვითარი მატერიალური ღონის-ძიებანი, ან სურსათ-სანოვაგე. მიღებულია სათანადო ზომები მათ უზრუნველსაყოფათ.

**პატიმრის მოკვლა.**

როგორც მაზრის მილიციის უფროსი ატყობინებს სამინისტროს, დუშეთის მილიციას შეუპყრია მოქალაქე ლექსო მაჭარაშვილი, როგორც პროვოკატორი, რომელსაც ერობის ხმოსნის სოსო ფსიტურისთვის მოსაკლავად რევოლვერი უსროლია. როცა ის ციხეში მიყავდათ გაქცეულა ტყეში, სროლის დროს მოუკლავთ.

**საქონლის მოტაცება.**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო ეკატერინოვკის მაზრის კომისარისაგან: „26 ამა მარტს დილის 11 საათზე სოფელ „პატარა დუმისს“ დაეცნენ ნეიტრალური ზონის სომხები ყაჩაღ ვასო მარკაროვის მეთაურობით. გადენეს საქონელი. ყაჩაღების დევნა გრძელდება. ადგილობრივი გვარდიის და მილიციის მიერ ნეიტრალურ ზონაში გადასასვლელი გზები შეკრულია. დაწვრილებით შემდეგ“.

**გაქცეულ ტუსაღთა შეპყრობა.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებული დამატებითი ცნობებით ზუგდიდის მილიციის მიერ შეპყრობილი იქმნა კიდევ ორი ციხიდან გაქცეული ტუსაღი: ბეჩვაია და რეკვავა.

**ეკლესიის დანგრევა.**

სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭომ აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს: როგორც ურბნისის საეპარქიო საბჭოს მოხსენებიდან სჩანს, ახალქალაქის მაზრაში ადგილობრივი მცხოვრები სომეხნი ანგრევენ კუმურდოს ეკლესიას. საკათალიკოზო საბჭო სთხოვს სამინისტროს გასცეს განკარგულება, რათა კუმურდოს ეკლესია დაცულ იქმნას.

---

# ერობა

**ქუთაისის სამაზრო ერობაში.**

—უკანასკნელი დადგენილებანი: დაევალოს ტეხნიკურ განყოფილებას სასწრაფოთ შეუდგეს წინასწარ მუშაობას და თემებს მიაღებიოს აქტიური მონაწილეობა გზების გაკეთებაში საყოველთაო ბეგრის მოხდით.

—მთავრობის მიერ დაწესებული ნიხრი შემოღებულ იქნას საერობო აფთიაქებში და მთავრობის მიერ ნიხრის შეცვლისა შეიცვალოს იმავე წესით ნიხრი საერობო აფთიაქებში 25% შეღავათით. დაევალოს საათიაქო განყოფილებას მოაწოდოს გამგეობას ცნობები ერობის აფთიაქების შემოსავლის შესახებ.

—დაენიშნოს ეპიდემიურ ექიმს თვიურად ცხრა ათასი მანეთი, ფერშალს სამი ათას ხუთასი მანეთი და სანიტარს სამი ათასი მანეთი.

—რადგანაც საagrარო კომისიების საორგანიზაციო ხარჯები (ბინის ქირა, ცხენის ქირა, გადასაზიდავი საშუალებანი კომისიის წევრების დღიურები და სხვა) არ შედის მიწათ-მოქმედების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვაში,—საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ 1919 წელს 28 იანვარის მიწის კანონების მე-18 მუხლის მიხედვით დაწესდეს ფონდის გასაყიდ-მიწებზე გადასახადი თითო ქცევაზე 10% მისი ღირებულებისა.

—რადგანაც ადგილობრივათ საქმის გაცნობით ამ აფთიაქის ტყიბულში გადატანა მიზანშეუწონელი იქნება თანახმად საათიაქო განყ. გამგის მოხსენებისა ხრესილის აფთიაქი დარჩეს თავის ადგილზე.

—დაინიშნოს ქუთაისის რაიონის აგრონომი ი. მაჭავარიანი მაზრის აგრონომათ ა. წ. 1 თებერვლიდან.

—მისივე მოხსენება, რათაგამგეობამ დაუთმოს მას ერობის შენობაში ერთი ოთახი აგრონომიულ კაბინეთის მოსაწყობათ.

მაზრის აგრონომის და სამაზრო ვეტერინარ ექიმის ჯამაგირების განსაზღვრა.

—უფროს ექიმის მოხსენება, რათა გამგეობამ შეიძინოს ექიმ ხუნდაძის ბიბლიოთეკა, რომელშიაც ერობის საექიმო განყოფილებისათვის და საერობო ექიმებისათვის ბევრი საჭირო წიგნებია.

—ერობის ყოფილ თანამშრომლის აწ გარდაცვალებულ შოფერის იაკინთე სვანაძის მეუღლის თხოვნა ნივთიერი დახმარების შესახებ.

—სანერგე დამუშავებულ იქნეს ერობის მიერ; გადადებულ იქნას ამ საქმის მოსაგვარებლათ წინასწარ ასი ათასი მანეთი; მოწვეულ იქნას ამ სანერგეში მომუშავეთა შემდეგი შტატი: ერთი სანერგის გამგე, თვიური ჯამაგირი ექვსი ათასი მ., ერთი მისი თანაშემწე თვიური ჯამაგირით ოთხი ათასი მანეთი, სამი მუშა თვითეულს თვიურათ ორი ათას ოთხასი მანეთი; დაევალოს აგრონომიულ განყოფილებას სასწრაფოთ მოიწვიოს სათანადო პირები ამ შტატის მიხედვით; დაევალოს ადმინისტრატიულ განყოფილებას გაგზავნოს ამ სანერგეში დროებით მცველათ სამი ფეხოსანი მილიციონერი.

—დაევალოს უფროს ექიმს აწარმოოს მოლაპარაკება ექიმ ხუნდაძესთან ბიბლიოთეკის ღირებულების შესახებ და შედეგი მოახსენოს გამგეობას.

—მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან დაენიშნოს იურისკონსულტს თვეში ექვსი ათასი მანეთი.

---

# მუნიციპალური ცხოვრება.

**ოზურგეთის ქალაქის საბჭოში უკანასკნელი დადგენილებანი.**

დაევალოს გამგეობას აღძრას შუამდგომლობა სახალხო განათლების მინისტრის წინაშე საჭირო ცნობების წარდგენით და ეთხოვოს მას რომ ქალ. ოზურგეთში დამოუკიდებლათ გიმნაზიებისა, გახსნილი იქნას საოსტატო სემინარია, მაგრამ თუ რომ ეს მოუხერხებელი იქრება მთავრობისათვის და სემინარიის გახსნა მოსალოდნელია აშორდეს ოზურგეთს, იმ შემთხვევაში გამგეობას ნება ეძლევა დასთანხმდეს მთავრობას ქალთა გიმნაზიის სემინარიათ გადაკეთებაზე.

პირველ მარტიდან მიეცეს ჯამაგირი: მილიციის უფროსს 3500 მან. მის თანაშემწეს 2400 მან., საქმის მწარმოებელს 2400 მან. უფროსს მილიციონერს 2200 მან., და უმცროსს მილიციონერს 2000 მანეთი. გამგეობის ბუხგალტერს 3500 მან.

ქალაქის აფთიაქის მოსამსახურეთა ძირითადი ჯამაგირებათ მიღებულ იქნას ქალ. სამტრედიის აფთიაქის მოსამსახურეთა პირველ აინვრამდე არსებული ჯამაგირები და იანვრიდან კი მომატება მოხდეს, თანახმათ დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ მომატებით ნორმებისა ე. ი. მოლარეს და დარაჯს ძირითადი 1600 მ. ემატება 55%— ექნება 2480 მ. მოწაფეებს ძირითად 1700 მ., ემატება 55%— ექნება 2635 მან. 1 წლის აფთიაქის თანაშემწეს ძირითადი 2350 მან. ემატება—40%—ექნება 3290 მან. 4 წლის აფთიაქის თანაშემწეს ძირითადი 2650 მან. ემატება 35% ექნება 3577 მან.

საბჭომ უკამათოდ მიიღო და ნება დართო გამგეობას აიღოს დასახელებულ ბანკიდან არსებული %%—ბში 250,000 მანეთი სესხი აფთიაქისათვის მედიკამენტების შესაძენათ.

საბჭომ დაამტკიცა მ. წ. 15 თებერვლის მომხდარი საჯარო ვაჭრობა, რომლითაც აუღია 1 სავაჭრო მოედანზე ქალაქის სასწორი მიხაკო დოლიძეს 21100 მან. და მეორე სავაჭრო ბაზარზე სასწორი ნიკო ჩიტაიშვილს 18,400 მან. მდგომარე წლის დამლევამდე.

დაადგინა 9 მარტიდან შემდეგი ნიხრი: ძროხის ხორცი ფუთი 700 მან. გირ.—18 მან. ღორის ხორცი გირ. 20 მანეთი, ცხვრის ხორცი ერთი გირ 20 მან.

**ხმოსნების კანდიდატების მოწვევა.**

ნაცვლად საბჭოდან გასულ ხმოსნებისა, მოწვეულ იქნას იოსებ მიხეილის ძე ქარცივაძე და ყარამან მაქსიმელის-ძე იმედაიშვილი.

---

# უცხოეთი

**მდგომარეობა დაღესტანში**

გაზეთ „ისკრის“ გადმოცემით ქალაქი პეტროვსკი აუღიათ მთიელებს. მოხალისეებს დაუტოვებიათ ქალაქი და გასულან ენზელში. ქალაქში უწესოებაა, ელიან ბალშევიკებს. სურსათი ძალიან ნაკლებად არის. გავრცელებულია სპეკულიაცია. ამავე გაზეთის ცნობით თემირ-ხანშურა აუღიათ წითელ არმიელებს.

**რუსის ლტოლვილნი ოსმალეთში**

უკანასკნელ მომხდარ ამბების გამო სამხრეთ რუსეთიდან კონსტანტინეპოლში თავი მოიყარეს აუარებელ რუსის ლტოლვილებმა. ოსმალეთის მთავრობამ მოკავშირეთა სახელმწიფოებს თხოვნით მიმართა, რათა მათ დაუყონებლივ შეაჩერონ ლტოლვილთა შემოსვლა კონსტანტინეპოლში. ანტანტამ აღუთქვა ოსმალეთს დახმარება. როგორც ფიქრობენ, ლტოლვილთ მოათავსებენ კიპროსის კუნძულზე.

**ელჩთა კონფერენცია.**

ელჩთა კონფერენცია ლონდონში გრძელდება ლორდ კერზონის თავმჯდომარეობით. კონფერენცია დიდ ყურადღებას აქცევს საერთაშორისო ეკონომიურ პირობებს.

**სომხები აბისინიაში**

აბისინიაში ამ ჟამად ბევრი სომხობა სცხოვრობს. უმრავლესობა კარგად სცხოვრობს და ვაჭრობა-მრეწველობა მათ ხელშია.

**ოსმალეთის საკითხი**

თემთა პალატაში ასკვიტმა, ოსმალეთის საკითხზე, სხვათა შორის, სთქვა შემდეგი: ოტომანთა იმპერიის არსებობა ევროპაში წარმოადგენს საშიშ ანახრონიზმს. მაგრამ ჩემის აზრით ისევ უკეთესი იქნება სულთანის დარჩენა კონსტანტინეპოლში, ვიდრე ის გადაყვანილ იქნას აზიის რომელიმე თავისუფალ კუთხეში, რომლითაც შეიძლება იგი უფრო საშიში გახდეს ჩვენთვის.

**შეთანხმება ყუბანის და შავი ზღვის გლეხთა განმათავისუფლებელ კომიტეტს შორის.**

ყუბანის საოლქო მთავრობის თავმჯდომარე ვ. ივანისმა და შავი ზღვის გლეხთა გან-

---

# საქართველოს კონსტიტუციისთვის.

**ეროვნული უმცირესობანი*)**

ყველაზე ნათლად და ყველაზე მეცნიერულად თანამედროვე ერების ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ განვითარების საკითხს არჩევს კაუცკი. განსაკუთრებით მან მიაქცია ყურადღება ამ საგანს ომის დაწყების შემდეგ, თუმცა დიდი ხანია ის კრიტიკულად უყურებდა იმ შაბლონურ შეხედულობებს ერზე და მის განვითარებაზე, რომელიც ბატონობდა სოციალისტურ წრეებში. კაუცკიმ ამ საკითხს რამოდენიმე შესანიშნავი შრომა უძღვნა, მათ შორის „შუა ევროპა“ და „ნაციონალური სახელმწიფო“. ეს წიგნები ორივე გადათარგმნილია რუსულ ენაზე და ვწუხვართ, რომ ქართველ მასიურ, რუსულის არ მცოდნე მკითხველს დღესაც არ აქვს საშუალება პირდაპირ ქართულად გაეცნოს გერმანელი სოციოლოგის მეტად საყურადღებო შრომებს საჭირბოროტო საკითხების შესახებ.

ბევრი მეცნიერი და პუბლიცისტი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ერების ცალკე არსებობის და ნაციონალურ სახელმწიფოების საათმა უკვე დაჰკრა და ვითომც მთელი თანამედროვე ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარება შეუბრალებლად გლეჯს, არღვევს ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ სხვადასხვაობას და მიჰყავს კაცობრიობა, უკეთ ამ განვითარებამ თითქოს უკვე მიიყვანა კაცობრიობა ამ სხვადასხვაობის მოსპობამდე. ამ აზრის გამართლებას იძლეოდა ვითამ საერთაშორისო ომის მაგალითები და თანამედროვე იმპერიალიზმი, რომელიც ვეღარ ეტეოდა ნაციონალურ სახელმწიფოს საზღვრებში და მსოფლიო მრავალეროვან იმპერიების შექმნისათვის იბრძოდა.

ამ თვალთსაზრისით ყოვლად შეუძლებელი იყო ერთა თვითგამორკვევის უფლებაზე სერიოზული ფიქრი. ნაციონალური სახელმწიფოს იდეა უნიადაგო უტოპისტების საქმედ გამოცხადდა. ამ იმპერიალისტურ—იდეოლოგიურ ანკესს წამოეგენ ევროპის ზოგიერთი „მემარცხენე“ სოციალისტები, რომლებმაც რაღაც თავისებურათ, ფატალისტურათ იწამეს ეკონომიური განვითარების კანონები—თითქოს ეს კანონები თავისთავად, განყენებულად, უადამიანებოდ, დროის და სივრცის პირობების გარეშე მოქმედებდენ. მათაც აითვალწუნეს ერთა თვითგამორკვევა და ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი არსებობის შესაძლებლობა. ეს და ყოველივე ამგვარი მოვლენები, ან უკვე გაქრენ ან განწირული არიან გასაქრობად ეკონომიური განვითარების ულმობელ კანონთა ზედგავლენითო გამოაცხადეს. მოკლედ, მარჯვნიდან და მარცხნიდან აღიარებდენ შეუთავსებლობას ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ არსებობისას მსოფლიო მეურნეობის განვითარებასა და მჭიდრო ურთიერთულ ეკონომიურ დამოკიდებულებასთან.,—

ეს მართლაც სრული გამარჯვება იყო იმპერიალისტური იდეოლოგიის. მაგრამ ომმა და მის მიერ გამოწვეულმა რევოლიუციებმა სრული სიაშკარავით დაამტკიცეს ამ იდეოლოგიის სიკოტრე და სინამდვილესთან „შეუთავსებლობა“.

კაუცკი, პირიქით, ყოველ ეჭვს გარეშე სტოვებს იმ აზრს, რომ ეროვნული დამოუკიდებლობა და თვითგამორკვევის უფლება განუყრელად შეკავშირებულია პროლეტარიატის საერთაშორისო და დემოკრატიულ მიზნებსა და იდეალებთან. მიღება უკანასკნელის და უარყოფა პირველის ლოღიკური „ნონსენსია“, პოლიტიკური და ისტორიული შეუძლებლობაა. და აი კაუცკი შეუდარებლად ამტკიცებს ამ დებულების სისწორეს და გარდუვალობას.

ნაციონალური სახელმწიფო ყველაზე უფრო მტკიცე და მკვიდრი სახელმწიფოებრივი კავშირია. მას აძლევს განსაკუთრებულ ძალას სწორედ ის გარემოება, რომ ამგვარ სახელმწიფოში ერთი რომელიმე ხალხია მბრძანებელი, მისი ენაა გაბატონებული ყველგან; მისი მოცილე, შუღლის მთესველი და ნაციონალური ბრძოლის ამტეხი ამ ნიადაგზე შიგ სახელმწიფოში არავინ არის.

აი ასეთ პირობებში ხდება შესაძლებელი დემოკრატიის ძალების სრული განვითარება, სამართლიანობის იდეალებისათვის ყოველმხრივ დაუბრკოლებელი ბრძოლა და წინმსვლელობა. დემოკრატია ნაციონალურ სახელმწიფოში ნახულობს თავის თავსა და თავის ძალ-ღონეს.

ამიტომ გასაკვირალი არა არის-რა თუ „ნაციონალურ სახელმწიფოსადმი ლტოლვილება იბადება ერთსა და იმავე დროს თანამედროვე სახელმწიფოებრივ დემოკრატიისადმი ლტოლვილებასთან ერთად და მჭიროდ არის შეკავშირებული მასთან“.

ამას ვერ შლის თანამედროვე ეკონომიური ვითარება. პირიქით თანამედროვე ეკონომიური ვითარება იწვევს ბოლოს და ბოლოს ამ ნაციონალურ დამოუკიდებლობისადმი მიდრეკილებას. ამას ვერ შლის ვერც თანამედროვე იმპერიალიზმი. პირიქით, თანამედროვე იმპერიალიზმი და მის მიერ გამოწვეული ამბები ააშკარავებს ნაციონალურ სახელმწიფოთა გაუქმების და ზენაციონალურ სახელმწიფოს დაარსების შეუძლებლობას.

კაუცკი სწერს: „ისტორია არ ამართლებს არსებულ, პოლიტიკურათ განვითარებულ ნაციონალურ სახელმწიფოთა მსოფლიო ინტერნაციონალურ იმპერიებად გარდაქმნის ტენდენციას“.

არა თუ ამ ტენდენციას არა აქვს ადგილი თანამედროვე სინამდვილეში, პირიქით, ცხადლივ ხორციელდება მეორე საწინაალმდეგო ტენდენცია უკვე დიდი ხნის არსებული მრავალერიანი, რთული სახელმწიფოების დაშლისა და გარდაქმნისა ნაციონალურ სახელმწიფოებრივობის პრინციპის მიხედვით. კაუცკის თქმითვე, „იქ, სადაც ჩვენ ვხვდებით სხვა და სხვა პოლიტიკურათ განვითარებულ ეროვნებათ, გაერთიანებულთ ერთს სახელმწიფოში, იქ ახალი ისტორიის შედეგია მხოლოდ მათი ნაციონალური ცხოვრება და არა მათი გაერთიანების ფაქტი. უკანასკნელი ეკუთვნის შორეულ წარსულს, არის ნაშთი წარსულის და არა შთანასახი ახალი მომავლისა“.

კაუცკიმ თავის გამოკვლევით, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაასწრო სინამდვილეს, რომლის ვითარებამ უკანასკნელი ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში თითქმის სავსებით გაამართლა მისი შეხედულება, მაშასადამე სასტიკად გააბათილა ის მტკიცება, რომ „ნაციონალურმა სახელმწიფომ დრო უკვე მოსჭამა და მის ადგილს იჭერს სახელმწიფოთა ინტერნაციონალური კავშირიო“. რუსეთმა, ავსტრიამ, როგორც დიდმა იმპერიებმა, რომლებიც შეიცავდენ და თავის საშოში უმოწყალოდ სჩაგრავდენ სხვა და სხვა მცირე ერებს, სწორედ ამის შემდეგ გამოეთხოვენ ისტორიას.

დაიბადენ ისტორიული აუცილებლობით ნაციონალური სახელმწიფოები. ისინი დღევანდელ საყოველთაო კრიზისის დროს დიდს შეხლა-შემოხლას და შევიწროებას განიცდიან. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ავათ თუ კარგად ისინი დალაგდებიან. მაშინ ხალხი სწორედ აქ მოინათლება ჭეშმარიტი და დემოკრატიის ემბაზში და მხოლოდ შემდეგ, განსპეტაკებული და ამაღლებული მივა, როგორც თანასწორი თანასწორთა შორის და თავისუფალი თავისუფალთა შორის, აუცილებელ ამა თუ იმ ფორმის საერთაშორისო შეკავშირებამდე. ამნაირად უახლესი ისტორიის უმახლობელესი სიტყვა თვითგამორკვეულ და თვითგამოსარკვევ ერების ცხოველმყოფელობას ამტკიცებს. დამოუკიდებელი, ცხოვრებას მოწყურებული ერები თამამად, მედგრად უპასუხებენ მათ, ვინც შენატროდა თუ წინასწარმეტყველებდა იმათ სიკვდილს. მათი პასუხია: non posumus!

აქვე შეიძლება მოკლედ აღინიშნოს ის განსხვავება ნაციონალური მომენტის და ნა-

*) იხ. „საქ. რესპ.“ № 68.

მათავისუფლებელ კომიტეტის თავმჯდომარემ ფილიპოვსკიმ ხელი მოაწერეს ხელშეკრულობას, რომლის ძალით უნდა შეწყვეტილ იქნას სამხედრო მოქმედებები.

**დენიკინის თანამდებობ. გადადგომა**

ყირიმში დასმული იქნება საკითხი გენერ დენიკინის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. მის ადგილზე ასახელებენ გენ. ბარათოვს. შეიარაღებულ მთავარსარდლის კანდიდატურაზე ასახელებენ გენ. სიდორენკოს.

**სამხრეთ რუსეთის მთავრობა**

სამხრეთ რუსეთის მთავრობა და თერგის ფრაქციის უმრავლესობა ამ ჟამად ყირიმში არის.

**ბოლშევიკების თარეში ეკატერინოდარში.**

ეკატერინოდარში ბოლშევიკების საქციელს საზღვარი არა აქვს. ამ ცოტა ხანში მათ დახვრიტეს ეკატერინოდარის ქალაქის თავი. მცხოვრებლებს დიდად ავიწროებენ.

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტოსაგან)

**ამერიკული ცნობები.**

(დასაწყისი არ მივიღია) ...„სანამ ამერიკა გამოსთქვამდეს ბალკანეთზე ვაჭრობის ინტერესს, შესაძლებელია, რომ ჩვენ ყველა ჩაუვარდეთ გერმანიას, თუ გნებავთ, ვალიუტის მდგომარეობის გამო. რუმინეთმა გადასწყვიტა მდგომარეობას თვით გაუძლოს, მაგრამ შეიძლება, რომ იგი ამისთვის უძლური გამოდგეს. მე ძალიან მწყინს, რომ ამერიკამ უარი განაცხადა კონსტანტინეპოლის ოკუპაციაზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ამერიკა იგრძნობს თავის შეცდომას იმაში, რომ მან თავისი დახმარება არ გაუწია ცივილიზაციას და შეიძლება აგრეთვე თავის საკუთარ ვაჭრობას. არც საფრანგეთს, არც ინგლისსა და იტალიას არ შეუძლიათ შემოიღონ თავისი კონტროლი, ეს მეტად დიდი საქმეა, მაგრამ ეს შეუძლია ქნას ამერიკამ, რომელიც პოლიტიკურათ ამაში არ არის დაინტერესებული. რადგანაც ამერიკამ არ მოისურვა მანდატის აღება, იგი ალბათ სხვა გადაწყვეტილებას გამოსძებნის. მე იმას ველტვი, რომ რუმინეთის ჯარები გაიგზავნოს მოკავშირეთა დასახმარებლად, რათა დაცულ იქნეს კონსტანტინეპოლისა და დარდანელის ნეიტრალობა, რადგანაც ჩვენ გადავსწყვიტეთ ზღვის ამ გასავალთა ყველასთვის გაღება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუ ბედი ხელს შეუწყობს უკიდურეს მემარცხენეთ, მაშინ ახალი რუსეთი კონსტანტინეპოლისაკენ დაიძვრის. ეხლანდელ რუსეთისათვის, რომელიც დანარჩენ ევროპასთან არც საზავო, არც საომარ და არც დიპლომატიურ დამოკიდებულობაში არ იმყოფება, ამგვარი ანარქიული მდგომარეობა საუკეთესოა. თუ საბჭოთს რუსეთი რეალური ზავის წინადადებას მოგვცემს და არა დროებით ზავისა პროპაგანდის მიზნით, მაშინ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მათთან არავითარ შემთხვევაში მოლაპარაკება არ დავიწყოთ, მაგრამ ჩვენ ამასთანვე უნდა გვახსოვდეს, რომ წარსული საბჭოები იქცეოდნენ ბარბაროსულათ. მე ვფიქრობ, რომ რუმინეთი იმოქმედებს თავისი მეზობლების თანხმობით ყველაფერში, რაშიაც კი დაინტერესებულია დასავლეთი ევროპა. რუმინეთმა დიდი მსხვერპლი მიუტანა ომს, მაგრამ შესაფერისად იყო იგი დაჯილდოებული. სიმართლეს არ შეესაბამება ის, თითქოს იგი ანგარიშს არ უწევდეს მოკავშირეებს.

ასეთი შთაბეჭდილება იქმნება იმიტომ, რომ იგი არასოდეს არ ეწეოდა პროპაგანდას, ეს ხდებოდა იმიტომ, რომ მას სურდა შეერთებულ შტატებთან მეგობრობის განმტკიცება. ჩვენი შინაური პოლიტიკური ბრძოლა სერიოზულათ არ უნდა იქნეს გაგებული. ჩვენ ყველა დემოკრატები ვართ და თავისუფლებისათვის ვიბრძვით დესპოტიზმის წინააღმდეგ, ჩვენ წინააღმდეგი ვართ ბოლშევიზმისა და ინტერნაციონალიზმისა. რუმინეთის შინაური სიმდიდრე უმთავრესად მის მიწათ-მოქმედებაში გამოიხატება. ჩვენ ახლა ღარიბნი ვართ გერმანიის გამო. ჩვენ მილიონობით გვყავს შინაური საქონელი და გვაქვს მრავალი სამიწათ-მოქმედო იარაღი. ეხლა ჩვენ ვახდენთ ჯარის დემობილიზაციას. საშინელ მდგომარეობაშია ჩვენი რკინის გზები, რაც ხელს უშლის ჩვენ მიერ საქონლის შემოტანასა და გატანას. ჩვენ უნდა შემოვიღოთ მეტათ დიდი გადასახადები და შევამციროთ ჩვენი ქაღალდის ფულის რაოდენობა. ჩვენ გვაწუხებს ევროპის ყველა მხარესავით ერთი ცუდი მოვლენა: ეს არის ის, რომ ხალხს არა სურს მუშაობა. ხუთი წლის განმავლობაში ჩვენს მრეწველობას ჩვენთვის არაფერი არ მოუცია. ომი აძლიერებს სიზარმაცეს. ჯარის-კაცები თხრილებში შეიძლება გამბედავნი იყვნენ, მაგრამ შინ ისინი ბრუნდებიან დაზარმაცებულნი და ძალა გამოფიტულნი. ჩვენი სახელმწიფოს ვალი 25 მილიარდ ლეის უდრის და უნდა გვიკვირდეს, რომ მეტი არ არის. ყველაფერი ეს შეიძლება გამოვასწოროთ მხოლოდ შრომითა და მდიდარ ქვეყანასთან ზავის შეკვრით, რასაც ჩვენ ვურჩევთ მას ყველაზე უწინ.

ამერიკის წითელი ჯვრისაგან ჩეხო-სლოვაკიასა და პოლონეთში მოვიდა ორი საბარგო მატარებელი სურსათ-სანოვაგით, რომლის ღირებულებაც 2 მილიონ პოლონურ მარკას უდრის.

ვენიდან იუწყებიან, რომ იქ მიუღიათ საფრანგეთიდან სურსათ-სანოვაგე, ტანისამოსი, წამლეულობა და საავათმყოფოთა მოწყობილობანი.

გუშინ პალატაში ფინანსთა მინისტრმა მოხსენება გააკეთა საფრანგეთის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. 1914 წლიდან 1918 წლამდე ყველა სამხედრო კრედიტის რაოდენობა 217.400.000 ფრანკს უდრის.

**ინგლისური ცნობები.**

ქვედა პალატაში ჰომრულის შესახებ ბილლის მეორე კითხვა მიღებულ იქნა 348 ხმით 94 წინააღმდეგ. კამათის დასასრულს ლოიდ ჯორჯმა სთქვა: მთავრობას ყოველგვარი საფუძველი აქვს, რომ იგი კმაყოფილი იყოს კამათის მიმდინარეობით.

**ინგლისური პრესა.**

ამ კამათმა დაამტკიცა, რომ მთავრობას ჰქონდა ერთად ერთი მისაღები გეგმა. ამოცანის სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ ისეთი წინადადებები შემოგვეტანა, რომლებიც ერთგვარად მისაღები იქნებოდა ირლანდიის ყველა პარტიისათვის. ასკვიტის გეგმა მთელი ირლანდიისათვის ერთი პარლამენტის დაარსების შესახებ არც ერთმა ამათგანმა არ მიიღო და მაშასადამე ისინი ამას უარყოფდენ. ამ ბილლის ძალით ირლანდიის მთავრობას შეუძლია ხელი მოჰკიდოს სასოფლო მეურნეობას, ვაჭრობა-მრეწველობას, რკინის გზის ტრანსპორტს, სახალხო ჯანმრთელობას, მოხუცთა პენსიით უზრუნველყოფისა და განათლებისა და აღზრდის საქმეს. პრემიერმა სთქვა, რომ იგი ამ საკითხში ოპტიმისტია და სწამს, რომ კავშირი თავის დროზე ნადვილი ბილლით იქნება განმტკიცებული.

ტრამვაის მუშებისა და მოსამსახურეების ჯამაგირის საკითხი მოწესრიგებულია. 18 წელზე უხნეს მოსამსახურეთ კვირაში ემატებათ 5 შილინგი, 18 წლიანზე ნაკლებთ კვირაში 1 შილინგი.

გერმანიის მთავრობამ რურის ხეობაში მყოფ წითელთა ულტიმატუმის ვადა კიდევ 48 საათით გააგრძელა, რათა წითლებს შეძლება მისცენ თვითონ აღადგინონ წესრიგი. ამ ვადის გათავებამდის ჯარები შეტევაზე არ გადავლენ.

# სხვა და სხვა

◆ სახალხო სახლში. დღეს სახ. სახლ. არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ქალაქში“. ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზე.

◆ პოლონეთის რესპუბლიკის მისიამ შემდეგი აცნობა გარეშე საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებას: „მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ გაზ. „ბორბა“-ში მარტის 31-ს ცნობა, ვითომ პოლონეთის რესპუბლიკის მისიას საქართველოში ჩამოეტანოს სანიმუშოდ საქონელი მართალი არ არის. მისიამ ჩამოიტანა მხოლოდ საჭირო ბარგი საკონსულო მოსამსახურე პირთათვის და ლტოლვილთა დასაბრუნებლად სამშობლოში“.

◆ გარეშე საქ. მინისტ. ევ. გეგეჭკორმა შემდეგი წერილი მიიღო ისპანიის ვიცე-კონსულისაგან: „თქვენო აღმატებულებავ! მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ მათ აღმატებულებამ პრემიერ—მინისტრმა მადრიდში მიიღო რა გორში მიწის ძვრისგან მომხდარ უბედურობის ამბავი დამავალა მე საქართველოს მთავრობას და ქართველ ხალხს გამოუცხადო გულწრფელი თანაგრძნობა მომხდარ უბედურობის გამო“.

◆ კვირას, 4 აპრილს, დილის 11 საათზე სასამართლო პალატის შენობაში დანიშნულია იურიდიულ საზოგადოების საერთო კრება. გარჩეულ იქნება შემდეგი საკითხები: 1) პასუხის გებაში მიმცემ კამერის დაარსების შესახებ სენატორ დემიდოვის მიერ წაკითხულ რეფერატის გამო კამათი. 2) კავკასიის იურიდიულ საზოგადოების ბიბლიოთეკის გადმოცემა. 3) ჟურნალის გამოცემა. 4) სამხედრო ოლქის სასამართლოს გაუქმების შესახებ. 5) სასამართლო პალატასთან სასამართლოს სამეცნიერო ექსპერტიზისათვის კაბინეთის დაარსება და სხვა.

◆ იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა სახელმძღვანელო პირველ-დაწყებითი სასწავლებელში სახმარებლად: „სურათები თხზულებისათვის სახელმძღვანელო თხზვასა და საუბარში ყრმათა საწრთვნელად სკოლასა და ოჯახში“. ფასი 5 მან. გამოცემა ქართული საყმაწვილო გამომცემლობის „სურათები-ზღაპრები“-სა.

◆ საექიმო - სასანიტარო განყოფილება იმუშავებს და გამოსცემს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა უწყებების ექიმების, კბილის ექიმების, ფარმაცევტების, ექიმის თანაშემწეების და ბებია ქალების სიას. სია იქნება ცალკე წიგნად გამოცემული და დაურიგდება აფთიაქებს სახელმძღვანელოდ. რადგანაც საჭიროა, რომ სია ვრცელი და უნაკლო იქნეს საექიმო-სასანიტარო განყოფილება სთხოვს ყველა ზემოდ ჩამოთვლილ პროფესიის პირთ გამოცხადდენ მოწმობებით და დიპლომებით: ა) ტფილისში მცხოვრებნი —შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო-სასანიტარო განყოფილებაში — ქსენიის ქ., № 10, ყოველ დღე (გარდა უქმეებისა) დღის 12—3 საათამდე ექ. მ. არჯევანიძესთან. სხვა ქალაქებში სამოქალაქო-სასამართლო ექიმებთან. მაზრებში—მაზრის ექიმებთან. რეგისტრაციის მოხდენა გაგრძელდება ამა წლის 10 მაისამდე (ერთი თვის განმავლობაში).

◆ ამიერ-კავკასიის ცენტრო ბანკმა ვერა ალექსანდრეს ასული ბერიძისგან მიიღო 1,150,000 მან. საზღვარ გარეთ გაგზავნილ ახალ გაზრდათა სასარგებლოთ, რომელიც ჩარიცხა მიმდინარე ანგარიშზე № 56 ნ. ნ. ჟორდანიას და ოლ. უორდროპის სახელობის ფონდში.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან არსებულმა საუწყებათაშორისო თესლის შემძენ გამანაწილებელმა კომისიამ შეიძინა სათესლეთ ქ. ბათუმში 20000 ფუთი ქერი, რაც უკვე განაწილებულია დაზარალებულ მაზრისთვის, ახალქალაქის, ახალციხის და არტაანის ოლქისთვის. ერობებს წინადადება ეძლევა პირველად მიღებული სათესლეს საფასური გადაიხადონ, რომ კომისიას საშუალება მიეცეს ზედმეტი სათესლე მიაწოდოს ერობას.

◆ დღეს მეორე ქართულ კლუბში იმართება ვასილ ბარნოვის საიუბილეო საღამო.

◆ სომეხთა ნაციონალურმა საბჭომ შემდეგი დეპეშა მიიღო ზაქათლის სომხობისგან: „ზაქათლის სომხობა უმწეო მდგომარეობაში იმყოფება. მათ საშუალება არა აქვთ აქედან გავიდნენ. სურსათის მხრით შევიწროებას განიცდიან“.

# ინსტრუქცია

**ფოთში შემოსულ გემების შავი-ქვით დატვირთვისა.**

1) ფოთის ნავთსადგურიდან საზღვარ-გარეთ შავი ქვის გატანა მომარაგების სამინისტროს ნება - დაურთველათ აღკრძალულია ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევების გამოკლებით.

2) კომერციული მიზნით შემოსულ გემებს შეუძლიათ სამინისტროს ნება-დაურთველათ მიიღონ შავი-ქვა იმდენი, რამდენიც საშუალებას მისცემს მათ შავი-ქვის შემდეგ ნავთსადგურამდე განაგრძონ გზა, ე. ი. ნოვოროსიისკისა და სტამბოლის ნავთსადგურამდე, ამასთან ერთად უნდა იხელმძღვანელონ პირდაპირი გზით ან შუა ნავთ-სადგურებში შესვლით. მხოლოდ თუ მისაცემი შავი ქვის რაოდენობა აღემატება 4 ათას ფუთს, მაშინ აუცილებელია მომარაგების სამინისტროს განსაკუთრებული ნებართვა.

**შენიშვნა** 1: კომერციული მიზნით ნაგულისხმევია ისეთი გემების შემოსვლა ფოთში, რომელნიც დატვირთული იქნებიან საქონლით საქართველოს ტერიტორიისათვის ან საქართველოს მთავრობის მისამართით ან რესპუბლიკის მოქალაქის კერძო პირის მისამართით, აგრეთვე ისეთი ტვირთებით, რომელთაც სატრანზიტო მნიშვნელობა ექნება.

**შენიშვნა** 2: ფოთის ნავთ-სადგურში შემოსული გემები, რომელთაც ექნებათ შავი-ქვის რაოდენობა, ამ ინსტრუქციის ძალით დაიმატებენ შავი ქვის იმ რაოდენობას, რომელიც არ ყოფნის გემს, რომ მან განაგრძოს გზა შავი-ქვის მახლობელ ნავთ-სადგურამდე.

3) შავი-ქვის რაოდენობას, რომელიც უნდა მიეცეს გემებს ამ ინსტრუქციის მეორე მუხლის ძალით, ისაზღვრება ფოთის ნავთსადგურის სამმართველოთი, საბაჟოს უფროსისა და მომარაგების სამინისტროს წარმომადგენელით, შეუთანხმებენ რა მანქანის იმ სისტემას, რომელიც არსებობს გემებზე და მის გათბობაზე.

4) ნავთსადგურის სამმართველოს აქვს განსაკუთრებული წიგნი, სადაც ის სწერს დაწვრილებითი ცნობებს ფოთში მოსულ გემების შესახებ: გემის სახელწოდება, რომელი საზოგადოებისაა, მოსვლისა და გასვლის დრო, როგორი ტვირთით მოვიდა და ვისთვის არის ტვირთი დანიშნული, ტვირთის რაოდენობა, როგორი ტვირთით მიდის, ვისთვის და სად, მანქანის სისტემა, ძალის ნორმალური განვითარების დროს დაახლოვებით რამდენი შავი-ქვა ყოფნის გემს საათში, გემის კაპიტანი, მახლობელ შავი-ქვის ბაზის ნავთ-სადგურამდე გზის ნორმალური დრო.

5) ამ ინსტრუქციის 4 პარაგრაფში ნაჩვენები ცნობების ასლი ეგზავნება მომარაგების სამინისტროს. ასლს ხელს აწერენ ნავთ-სადგურის უფროსი, საბაჟოს უფროსი, მომარაგების სამინისტროს რწმუნებული და თუ შესაძლებელი იქნება გემის კაპიტანიც.

6) ქარის, ზღვის აღელვების ან სხვა სტიქიურ მოვლენის დროს, როცა გემი იძულებულია ნავთ-სადგურში შევიდეს და თავი შეაფაროს, მას შეუძლია ამ ინსტრუქციის ძალით მიიღოს შავი-ქვა მაშინაც, როცა გემს არ ჰქონდა გზა ფოთში.

7) ყველა სხვა შემთხვევებში, რომელიც არ არის ამ ინსტრუქციაში ნაჩვენები, შავი-ქვის საზღვარ-გარეთ გატანა შეიძლება მხოლოდ მომარაგების სამინისტროს სპეციალურ ნებართვით.

# სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილების საკრებულოს სხდომაზე 1920 წლის 21 აპრილისათვის დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

(სხდომის გახსნა დილის 1) საათზე).

1) საჩივარი ხონის ქალაქის გამგეობისა ქუთაისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1919 წლის 2-ივნისის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც უკანონოთ იქმნა ცნობილი და გაუქმებულია ქალაქ ხონის გამგეობის 1919 წლის 24 იანვრის დადგენილება ი. ჩხენკელის სახლის რეკვიზიციის შესახებ—ქალაქ ხონის საავათმყოფოს საჭიროებისათვის.

2) საჩივარი დავითი ენგელისა სოხუმის ოლქის სასამართლოს საადმ. განყოფილების

ციონალური პოლიტიკის შესახებ, რომელიც არსებობდა და სამწუხაროდ, დღესაც არსებობს თვით სოციალისტებსა და დემოკრატებში.

ერთნი ამტკიცებენ, რომ დემოკრატიას არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს ნაციონალურ მთელთან, ნაციონალურ პიროვნებასთან, ერთან. დემოკრატიის საქმეა ინტერნაციონალიზმი, მაშასადამე იგი უნდა გაურბოდეს პატრიოტიზმს, მშობლიურ ნაციონალურ კულტურის სიყვარულს და სხვ. ეს არის ცნობილი ნაციონალური ნიჰილიზმი, რომელზედაც ჩვენ ბევრჯელ გვილაპარაკნია. მისმა დამცველებმა არც არაფერი დაივიწყეს, არც არაფერი ისწავლეს.

კაუცკი სრულიად უარჰყოფს ამგვარ ტრაფარეტულ სოც. მსოფლმხედველობას. მეცნიერულ ანალიზს უშვება ნაციონალურ იდეის განვითარებას უკანასკნელ საუკუნოებში და მიდის იმ დასკვნამდე, რომ სხვა და სხვა კლასს თანამედროვე საზოგადოებაში თავისებურად ესმის ეს ნაციონალური იდეა და ნაციონალური საკითხი.

პროლეტარიატს აქვს თავისი ნაციონალური იდეა. ეს არის ნაციონალური დამოუკიდებლობა თვითეული ხალხისა, რომელიც გაერთიანებულია ენის და კულტურის ერთობით, მხოლოდ დამოუკიდებელ და თავისუფალ სამშობლოში შეუძლია ყოველი ერის განვითარებულ მუშა ხალხს სავსებით განახორციელოს თავის მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში და სოციალურ ბრძოლაში.

პროლეტარიატს, დემოკრატიას არ შეუძლია უარჰყოს ნაციონალური დამოუკიდებლობა და თავისუფლება, ვინაიდან ეს საკუთარი თავის უარყოფა იქნებოდა. იგი კულტურის და დემოკრატიულ-ნაციონალური სახელმწიფოებრიობის ნიადაგზე სდგას და ვალდებულია გაუძლოს მთელ ერს, უზაირახტროს მთელს რესპუბლიკას დიდი სახელმწიფოებრივ აღმაშენებლობის და საერთაშორისო მშვიდობიანობის დამკვიდრების საქმეში.

ბ. ხაჭვარელიძე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1919 წლის 8—15 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც უყურადღებოთ იქმნა დატოვებული ენგელის საჩივარი გუმუსტის ერობის გამგეობის დადგენილებაზე—შესახებ მიწის მფლობელობის გადაცემისა—ქრისტეფორე მიხელსონის სასარგებლოთ.

3) საჩივარი სოლომონ და ნესტორ იოსელიანებისა ქუთაისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1918 წლ. 27 სექტემბრის და 10 ოქტომბრის დადგენილებაზე, რომლითაც გაუქმებულია ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს 1918 წ. 27 ივლისის და 1 აგვისტოს განკარგულება—შესახებ მათი უფლების დაცვისა მამულზე „პატარა აბანოს ადგილი" აფხაიძეების ძალადობისაგან.

4) საჩივარი ელისაბედ მამაცაშვილის, სოფიო მხეიძის და მარიამ ჩოლოყაშვილის რწმუნებულის დიმიტრი ჩოლოყაშვილისა მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგის 1919 წლის 17 დეკემბრის დადგენილებაზე მის მარწმუნებელთათვის ცალ-ცალკე ნორმის დატოვების შესახებ სოფ. კურდღელაურში.

# ბიულეტენი
## საქარ. ფიზ. ობსერვატორიის

**ტფილისი, 1 აპრილი 1920 წ.**

**საშუალ. 1 საათ.** ჰაერის წოლა მმ.: 729.0; ჰაერის ტემპერატ.: 11.1; შეფარდებ. სინოტ. %: 36; მოღრუბლ.: 8: ქარი: NW 13; დედამიწის ზენაპირ. ტემპერ.—მოშიშვლებ.: 24.9; ბუნებრივ.: 22.1.

**საღამ. 9 საათ.**: ჰაერის წოლა მმ.: 730.7; ჰაერის ტემპერ.: 6.9; შეფარდებ. სინოტ. %: 58; მოღრუბლ.: 4; ქარი: N 3; დედამიწის ზენაპირ. ტემპერ. მოშიშვლებ.: 5.0; —ბუნებრივ.: 1.9 ჰაერის საშუალო ტემპერატ. 1 აპრილი: 8.2; ნორმალი: 10.0; მაქსიმალი: 12.4; მინიმალი: 5.6.

**დილ. 7 საათ, 2 აპრილი.** ჰაერის წოლა მმ.: 731.3; ჰაერის ტემპერ. 5.3; შეფარდებ. სინოტივ. %: 71; მოღრუბლ.: 0; ქარი: N 1; დედამიწის ზენაპირ. ტემპერ.—მოშიშვლებ.: 6.8; ბუნებრივ.: 5.9; ატმოსფერის ნალექი.: მმ.: —; შენიშვნა:—

**დილ. 7 საათ. 1 აპრილი 1920 წ.**

| დაკვირვების ადგილი | ჰაერის ტემპერ. | მინიმალი ტემპერ. | ნალექი მმ. | ქარი | ძლიერი ღელვა. |
|---|---|---|---|---|---|
| ტფილ. | 6.5 | 6 | — | N 4 | — |
| ბორჯომი | — | — | — | — | — |
| ფოთი 1) | 8.3 | 6 | 5 | WSW 4 | 1 |
| სოხუმი 2) | 7.0 | 6 | 8 | 0 | 0 |
| გაგრი 3) | 8.9 | 7 | 7 | — | 0 |

**შენიშვნა:** 1) წვიმა ღამ.; 2) წვიმა ღამ.; 3) წვიმა ღამ.

# წერილი რედ. მიმართ.

ბ. რედაქტორო! ცაიშის თემის მოქალაქე ზურაბ ქირიამ, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა ჩემდამი რწმუნებულ ცაიში-კახათის ორ-კლასიან სკოლას ერთი ზარა ღირებული ხუთას მანეთად (500), ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო ჩემდამი რწმუნებული სკოლის მასწავლებლების და მოსწავლეების სახელით.

ცაიში-კახათის ორ-კლასიანი სკოლის გამ-მასწ. **თეიმურაზ ჭიჭინაძე.**

## განცხადებანი

ტფ. სამიტროპოლიტო სასამართლოში ზაქარია ქრისტეფორეს ძე დულაშვილმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ნინო გიორგის ასული, რომელზედიც ჯვარი დაიწერა 1909 წ. უკვალოდ დაიკარგა 1912 წ., რის გამო აღნიშნული ზაქარია ქრისტეფორეს ძე დულაშვილი თხოულობს ცოლისაგან განქორწინებას. ყველა, ვინც კი იცის დაკარგულ ნინო გიორგის ასულის დულაშვილის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა 2 თვის განმავლობაში. 434 2—1

ისხაკ მიხეილის ძე ჩხიკვიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ექვსი თვის პასპორტი და მეტრიკული ამონაწერი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 275 3—1

ტროფიმე კონსტანტინეს ძე ზემლიანსკიმ განაცხადა, რომ მან დაჰკარგა მისა და მისი ცოლის სახელობის მამულის, რომელიც მდებარეობს ტფ. პირველ უბანში, ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ, რეესტრით № 2159. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 612 3—1

გიორგი დიმიტრის ძე ქალიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა დაბადების მეტრიკა, სამხედრო ბეგრისაგან თავისუფლების მოწმობა და შეშის ქარხნის ადმინისტრაციის მიერ მოცემული მოწმობა. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 340 1—1

დაიკარგა ერთი სულის სასურსათო წიგნაკი № 32281 ვერა ნარეკელაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 617 3—1

ჯარისკაცი არსენ ბესარიონის ძე არსენიძე მსახურებდა პირველ ქვეითა პოლკში. 1918 წ. დეკემბერში გაწვეულ იქმნა სომხის ომში და მას აქეთ მისი აღარა ვიცით რა. გთხოვთ თუ ვისმეს რაიმე ცნობები მოეპოება მასზე, შეგვატყობინოს 1-ლ ქვეითა ათასეულის შტაბში. 374 3—1

დაკარგულია აქციები ტყიბულის მთამადნეულობის საზოგადოების „ნახშირასი" №№ 3760—3769, რომელიც ეკუთნოდა შუშანიკა უკასოვნა ზურაბოვისას. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 545 3—1

ისაკ მოტკოვის ძე ვიდგოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ლტოლვილის პასპორტი, რომელიც მას ჰქონდა მიცემული უმანის მეშჩანების სამმართველოდგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 276 3—1

პროკოფი ეგნატეს ძე ნიკურაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა დროებითი მოწმობა, მიღებული ქუთაისის სამხედრო უფროსისაგან 1919 წ. 14 ნოემბერს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 397 3—1

მარია კონსტანტინეს ასული გუგუნავასი აცხადებს, რომ მას ნატანებიდან ოზურგეთისკენ მგზავრობის დროს ავაზაკებმა წაართვეს ორი ვექსილი თითო ხუთასი თუმნისა, რომელიც ემართა ქალ. ტფ. მე-8 უბნის კომისარს სიმონ ტარიელის ძე ბოლქვაძეს, რომლის თავდებია ქ. ტფ. მოვაჭრე ტიტიკო სილოვანის ძე თალაკვაძე. ორივე ვექსილზე ხელს აწერენ სიმონ ბოლქვაძე და ტ. თალაკვაძე; 2. სახელმწიფო ბანკის წიგნაკი 10000 მანათის. 3. ვადიანი პასპორტი და 4. პირადი ბარათი მოცემული ძიმითის თემიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 331 3—1

ტფილისის ეპარქიის სამიტროპოლიტო სასამართლოში ნიკოლოზ დავითის ძე ვაჩნაძემ შემოიტანა განცხადება, რომ მისმა ცოლმა ვერა ანატოლის ასულმა ვაჩნაძისამ, რომელზედაც ჯვარი დაიწერა პეტროგრადის საიმპერატორო დიდი მთავრინა ელენე პავლეს ასულის კლინიკის ინსტიტუტის ეკლესიაში 31 ღვინობისთვეს 1910 წ. თავი დაანება მას 1915 წ. და უკვალოდ დაიკარგა, რის გამო აღნიშნული ნიკოლოზ ვაჩნაძე თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც კი იცის დაკარგულ ვერა ანატოლის ასულის ვაჩნაძის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდეისა 2 თვის განმავლობაში. 520 3—1

ვარლამ ივანეს ძე სალუქაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი მიღებული ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლიდან 1908 წ. გაუქმებულათ ჩაითვილოს. 365 1—1

დაიკარგა ორი სულის სასურსათო წიგნაკი მარიამ როსტომის ასული კირვალიძის სახელზე № 2071. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 606 3—1

სიმონ გიორგის ბაქრაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიცემული სამხედრო მაზრის აღრიცხვის უფროსის მიერ № 129 შესახებ ვადის გადადების გაუქმებულათ ჩაითვალოს. 273 3—3

ტფილისის განყოფილება აზოვო-დონის კომერციული ბანკისა ამით აცხადებს, რომ მათ მიერ გაცემული კვიტანცია, ანგელ სოკრატის ძე გიზზე, № 7265|1142 1916 წელს 13 ქრისტეშობისთვეს, მიბარების და შენახვის $5\frac{1}{2}$ % ობლიგაციების II შინაური სახელმწიფო სესხისა 1915 წლისა, ნომინალური ღირებულების მან. 60000-განცხადებულია დაკარგულათ, რისთვისაც ზევით მოხსენებული კვიტანცია ითვლება გაუქმებულათ. 536 3—1

ტფილისის განყოფილება აზოვო-დონის კომერციული ბანკისა ამით აცხადებს, რომ მათ მიერ გაცემული კვიტანცია ბარბალე სოკრატის ასული გიზზე, № 7266|1143 1919 წელს 13 ქრისტეშობისთვეს, მიბარების და შენახვის $5\frac{1}{2}$ % ობლიგაციების II შინაური 1915 წლის სახელმწიფო სესხისა, ნომინალური ღირებულის 60000 მან. განცხადებულია დაკარგულათ რისთვისაც ზევით მოხსენებული კვიტანცია ითვლება გაუქმეაულათ. 537 3—1

სასტუმრო ავრორაში ა. წ. 19 მარტს მომპარეს საფულე, რომელშიდაც იყო 2000 მანეთი ფულად, სამინისტროსგან აღებული ბრაუნინგის სისტემის ტარების ნებართვა, კეთილ იმედოვნების მოწმობა და სხვა აუცილებელი საჭირო საბუთები. ვსთხოვ წამღებს ფოსტით გამომიგზავნოს ბარათები და საბუთები, ფული კი დაიტოვოს. მისამართი: სასტუმრო ავრორა „ნავთის ამხანაგობა". წინაღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. კორნელი ივანეს ძე კობეშავიძე. 519 1—1

იასონ ვლადიმერის ძე აბაშიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა დროებითი მოწმობა უნივერსიტეტის კანცელარიიდან 10 იანვარს 1917 წ. № 412, პასპორტი მოცემული ქუთაისის სათავად-აზნაურო დეპუტატების კრებიდან 1915 წ. სექტემბერში, სამსახურის სია, მოცემული მთავარ კომიტეტიდან რუსეთის ქალაქის და ერობების კავშირიდან მისი რევიზორათ ყოფნისა კავკასიის ფრონტის საინჟინერო-ამშენებელი დრუჟინებისა. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 274 3—3

სიმონ ირაკლის ძე ბერიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან მიღებული 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 620 3—2

დაიკარგა საშინაო დავთარი ეკატერინე იაგორას ასული მამაცოვის სახლის, რომელიც მდებარეობს ზორა ბაშის ქუჩაზე № 21. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 623 3—2

ელენე ნიკოლოზის ასული ოგანჯანოვისა აცხადებს, რომ დაიკარგა ნასყიდობის სიგელი, შედგენილი 1906 წ. 17 მაის სიღნაღის ნოტარიუსის ჯაფარიძის მიერ და დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართ. უფროსი ნოტარიუსის მიერ რეესტრით № 1051. ამავე მამულის პლანი № 33099, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 622 3—1

გეურქ მიკირტიჩის ძე არუთინიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა თავისი, ცოლის ტაკუინის და შვილის შუშანიკას პასპორტი. გაუქმებულად საითვალოს. (უ) 3—2

სერგო ვასილის ძე ბაზაზოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარვა პასპორტი, მიღებული ამიერ-კავკასიის გზათა სამინისტროდან 1918 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 621 3—2

გვარდიელი ირაკლი ონისიმის ძე თევზაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ვინტოვკის № 137847 და ნაგანის სისტემის რევოლვერის № 3054, ნებართვის მოწმობა № 592, მიღებული პირველ რაიონის გვარდიის შტაბის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 560 3—3

იულია ალექსანდრეს ასული მისლავსკაია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საცხოვრებელი მოწმობა № 1528, მიცემული საქართველოს კონსულის მიერ ქ. ნოვოროსისკში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 601 3—3

დაიკარგა ორი სულის სასურსათო წიგნაკი გიორგი ივანეს ძე ტაბლიაშვილის სახელზე № 2324. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 602 3—3

ტფ. მაზრის ერობის ტეხნიკი ნიკოლოზ მიხეილის ძე პაპიძე აცხადებს, რომ მან სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს დაჰკარგა „ბრაუნინგის" სისტემის რევოლვერი № 49140. მპოვნელს სთხოვს დაუბრუნოს ტფ. მაზრის ერობაში. 565 3—3

ეკატერინა ალექსანდრეს ასული მინდიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი და მეტრიკული ამონაწერი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 600 3—3

პავლე პეტრეს ძე გოგნიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფილისის სამხედრო უფროსისგან 1919 წ. 23 ივნისში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 567 3—3

ლუკა ვლადიმერის ძე სამხარაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მერევის ორ-კლასიანი სასწავლებლის დამთავრების მოწმობა და ატესტატი, მიღებული საჩხერის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლიდან. გაუქმებულათ ჩაითხალოს. 568 3—3

ალექსი გიორგის ძე დვალიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული კავკავის დარაჯთა სამმართველოდან 1917 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 597 3—3

არუსიაკ ავეტიკას ასული ტევანიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1919 წ. № 22832. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 598 3—3

დაიკარგა ოთხი სულის სასურსათო წიგნაკი №10782 ივანე ნიკოლოზის ძე იჩკიტის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 618 3—2

# საქართველოს სახაზინო რკინისგზათა მმართველობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ა. წ. 15 აპრილს დილის 10 საათიდან ტფილისის ცენტრალურ საწყობში გაიყიდება გაუტანელი ტვირთი და ბაგაჟი.

**ტვირთი**: ბაქოდან—ფოთი № 1280 რიგ. № 68. (გამგზავნელი: სავაჭრო სახლი ძმები ზურევიჩი—მიმღები: სავაჭრო სახლი ძმები ზურევიჩი). 40 ც. ბოჭკები ცარიელი წონ. 90 ფუთი, ბათუმიდან—ნავთლუღი № 65958 რიგ. № 488 (გამგზავნელი და მიმღები უცნობი) 7 ც. იზოლიატორები და რკინის კოჭები წონ. 29 ფ. 35 გ. ძირულიდან—ტფილისი № 117818. რიგ. № 36 (გამგზავნელი ამხანაგობა—„შრომა"—მიმღები ამხანაგობა „მომუშავე") 1 ც. ბოჭკა ცარიელი 2 ფ. გორიდან—ტფილისი № 120742 რიგ. № 35 (გამგზავნ. ა. ქარუმიძე მიმღები. ქარხანა „ხოშტარია"). 4 ც. რკინოულობის ნაწარმოების 6 ფ. ჩაქვიდან პიატიგორსკი № 66 რიგ. № 640 (ჩაქვის სახაზინო მამული—პიატიგორსკის სახელოსნო) 1 ც. ბამბუკის ჯოხები 6 ფ. 30 გ.

**ბაგაჟი.** კვიტანციით ტფილისი-ნოტანები № 93983 რიგ. № 74—4 ც.—2 ფ. 20 გ. ქუთაისიდან—ხეთი № 55990 რიგ. № 40—1 ც.—10 გ. ახალსენაკიდან—ქუთაისი № 65953 რიგი 32-1 ც—20 გ. ტფილისიდან—ფოთი № 9506 რიგ. № 39—1 ც.—15 გ. ტფილისიდან—სამტრედია № 87594 რიგ № 33—1 ც. 4 გ. აბაშიდან—ფოთი № 42657 რიგ. № 38—1 ც. 27 გ. ტფილისიდან—საჩხერეში № 95869 რიგ. № 45—1 ც. 1 ფ. 2 გ. ხაშური—ტფილისი № 50646—1ც. 3 ფ. 10 გ. კასპიდან—ტფილისი № 9121—1 ც. 38 გ. ქუთაისიდან—ტფილისი № 58973 1 ც.—10 გ. განჯიდან—ტფილისი № 919—1 ც. 1 ფ. 12 გ. აგარიდან—ტფილისი № 5028—1 ც.—1 ფ. გორიდან—ტფილისი № 84903—1 ც. 25 გ. ხაშურიდან—ტფილ. № 50741—1 ც. 5 ფ. ტყვიბულიდან—ტფილისი № 12848—2 ც. 7 ფ. 15 გ. ძერულიდან—ტფილისი № 11944 1 ც. 2 ფ. 30 გ. ბორჯომიდან—ტფილისი № 27552—1 ც. 30 გ. ერივანიდან—ტფილისი № 4156—1 ც. 12 გ. ჯაჯურიდან—ტფილისი № 8786 1 ც. 05 გ. ნიგოითი—ტფილისი № 7620—4 ც. 10 ფ. მუხიანი—ტფილისი № 2528—4 ც. 4 ფ. 10 გ. ახალსენაკი—ტფილისი № 32746—1 ც. 35 გ.

**უსაბუთო ბაგაჟი**: აქტით სად. ბაკურიანი № 2. 1 ც. 3 ფ. 25 გ. აქტ. სად. ბაკურიანი № 4—2 ც. 9 ფ. 21 გ. აქტ. სად. ტფილისი № 536—4 ც. 13 ფ. 3 გ. აქტ. სად. ტფილისი № 77—1 ც. 2 ფ. 10 გ. აქტ. № 406—1 ც. 5 ფ. 10 გ. აქტ. № 653—1 ც. 5 ფ. 18 გ. აქტ. № 655—1 ც. 4 ფ. 35 გ. აქტ. № 100—1 ც. 12 ფ. აქტ. № 99 1 ც. 2 ფ. 10 გ. აქტ. № 105—1 ც. 1 ფ. 35 გ. აქტ. № 103—1 ც. 10 გ. აქტ. № 654—1 ც. 6 ფ. 10 გ. აქტ. 656—1 ც. 1 ფ. 15 გ. აქტით №№ 58, 59, 60, 62, 63, 64, 65, 66—8 ც. 4 ფ.

ხელმეორედ გაყიდვა დანიშნულია მეორე დღეს ა. წ. 17 აპრილს. 395 3—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. ალმ. გრიგოლ მაჭავარიანი